“ხელისუფლების პრობლემა ის არის, რომ ბოროტი ხალხია და ამ სახელმწიფოსაც ბოროტებაზე დაფუძვნებულს აშენებს”

გაზეთი “ვერსია” – 3-4 ივნისი, № 64, 2009

მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგები საქართველოში სულ უფრო მწვავედ იკვეთება. თუმცა შიგა პოლიტიკური დაძაბულობის გამო ხელისუფლება თავს დიდად არ იწუხებს გამოსავლის მოსაძებნად. ამის მიუხედავად, მთავრობა მაინც დაგვპირდა, რომ ერთ კვირაში ანტიკრიზისულ გეგმას დადებს. პრემიერ-მინისტრმა რამდენიმე კომკრეტულ საკითხზეც გაამაზხვილა ყურადღება. რამდენად ეფექტაინი აღმოჩნდება მთავრობის მცდელობა, რა არ უნდა გაკეთდეს და რა არის აუცილებელი ეკონომიკის ფეხზე დასაყენებლად „ვერსია“ ეკონომიკის ყოფილ მინისტრს, ყოფილ დეპუტატს, პროფესირ ლადო პაპავას ესაუბრა.

– მთავრობა რომ ანტიკრიზისული გეგმის მომზადებას აპირებს, მისასალმებელია. ქვეყანა კრიზისულ მდგომარეობაშია და მთავრობის უშუალო ვალდებულებაა ასეთი გეგმა შეიმუშავოს. სამწუხაროა, რომ აქამდე ასეთი გეგმა არ ჰქონია, თუმცა ამასაც აქვს თავისი ახსნა. ქვეყნის პრეზიდენტი ამბობდა, რომ ჩვენთან მხოლოდ გლობალური ფინანსური კრიზისის გავლენა იყო და საქართველოში ცუდი არაფერი ხდებოდა, ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებში ეკონომიკები ჩამოინგრა, მაგრამ საქართველო გადარჩაო. მოგვიანებით თქვა, კრიზისი ჩვენთან არც კი შემოსულაო. ხელისუფლება რაიმე ფორმით ქვეყანაში კრიზისის არსებობას უარყოფდა. ამ გეგმის დადება კი იმის აღიარებას ნიშნავს, რომ ქვეყანაში კრიზისია. უმჯობესია უფრო დეტალურად მას შემდეგ ვისაუბროთ, რაც ეს გეგმა

დაიდება, თუმცა კონტურები მაინც არსებობს და თუ ამის შესახებ ჩვენს მოსაზრებებსაც გაეცნობიან და გაიზიარებენ, ცუდი სულაც არ იქნება. როდესაც ქვეყანა ასეთ მდგომარეობაშია, პირველად აუცილებელია ეროვნული ბანკის აღდგენა.

– გილაურმაც განაცხადა, რომ ერთ-ერთი საკითხი სწორედ ეროვნული ბანკის გაძლიერებაა, მაგრამ თავის დროზე ეროვნული ბანკი სწორედ სააკაშვილის მთავრობამ დაასუსტა.

– კონკრეტულად რის გაკეთებას აპირებენ არ ვიცი, მაგრამ ამას ეროვნულ ბანკში ახალი ხელმძღვანელის მისვლას ვუკავშირებ. გიორგი ქადაგიძე საკმაოდ ძლიერი პიროვნებაა და ხელისუფლების მხარდაჭერაც აქვს. თუ ქადაგიძე მოახერხებს, ეროვნული ბანკი აღადგინოს და რაც ბევდუქიზძე-გურგენიძის ტანდემმა დააშავა, გამოასწოროს, ყველაზე კარგი და აუცილებელი ნაბიჯი იქნება. ეროვნული ბანკი დაშალეს და ფაქტობრივად, მთავრობას დაუქვერმდებარეს, ამიტომ მისი, როგორც ერთიანი დამოუკიდებელი ინსტიტუტის აღდგენა აუცილებელია.

მეორეა ჩვენი ვალუტა, – ბოლო დროს გავრცელდა პროვოკაციული განცხადებები, რომ ლარი მეორად ვალუტად უნდა იქცეს, ასეთი საუბრებიც უნდა მიოისპოს, რადგან ამით როგორც ეროვნული ვალუტა, აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკაც ზარალდება.

– რამდენადაც ვიცი ამ განცხადების ავტორს სამსახური დაატოვებინეს...

– მეც ვიცი, რომ ის ქალბატონი, რომელიც პრემიერ-მინისტრთან მუშაობდა სამსახურიდან გაათავისუფლეს, მაგრამ ბენდუქიძის ქსელი, რომელიც ფორმალურად მთავრობაში ყოფნის დროს შეიქმნა, დღესაც არსებობს არც ბენდუქიძეს დაუცლია კაბინეტი კანცელარიაში და არც მისი გუნდის წევრები წასულან სადმე. ეს იდეოლოგია ისევ არსებობს და ამიტომაც მნიშვნელოვანია გიორგი ქადაგიძის მტკიცე პოზიცია ლართან მიმართებაში.

– რამდენადაც ცნობილია, ამ ეტაპზე ინფლაციის საფრთხე არ არსებობს, თუმცა საზოგადოებაში მაინც არის მოლოდინი, რომ შესაძლოა, მდგომარეობა ამ კუთხითაც გართულდეს...

– ჯერ ერთი, ინფლაცია რამდენი გვაქვს, არ ვიცით და ამაზე ბევრი გვისაუბრია. ერთ მაგალითს მოვიყვან, რომ მკითხველისთვის უფრო ნათელი

გახდეს: ოფიციალურად 2008 წელს თურმე 5,5%-იანი ინფლაცია გვქონია. ეს ის წელია, როდესაც რუსეთის აგრესია მოხდა, საბანკო პროცენტი გაძვირდა, როდესაც მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა 7 ნოემბერს „მწვანე პარასკევი“ მოგვიწყო და ნახტომისებურად 15%-ით გააუფასურეს ლარი. საბოლოოდ კი 5,5%-იანი ინფლაცია გამოიყვანეს, ეს ხომ შეუძლებელია.

საერთოდ, გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში ინფლაციის საფრთხე ნაკლებია, რადგან საქონლის გაყიდვა ჭირს და ფასები მცირდება, მაგრამ საერთაშორისო სავალუტო ფონდის გამოვლევაც ადასტურებს, რომ ფასები ყველაზე ნაკლებად საკვებ პროდუქტებზე მცირდება. მეტიც, ის ინარჩუნებს არსებულ დონეს და ცალკეულ შემთხვევაში იზრდება კიდეც. როგორი კრიზისიც არ უნდა იყოს ადამიანს კვება სჭირდება. როგორი რყევებიც არ უნდა ხდებოდეს ეკონომიკაში, საკვები არ იაფდება, რასდგან მასზე მოთხოვნა ყოველთვის არის. თუ გავითვალისწინებთ, რომ ინფლაცია ძირითადად სამომხმარებლო კალათაში შემავალი პროდუქციის მიხედვით გამოანგარიშება, (სამომხმარებლო კალათაში კი როგორც ღარიბი ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, ძირითადი ადგილი საკვებ პროდუქტებს უკავია), ნაკლებად სავარაუდოა, დაბალი ინფლაცია გვქონდეს, ანუ ჩვენი კვება გაიაფდეს. მთავრობას ეს პრობლემაც გასათვალისწინებელი აქვს.

– ქვეყანაში საკმაოდ განვითარებული იყო რესტორნებისა და კაფეების ქსელი, სადაც საქართველოს არც თუ ცოტა მოქალაქე იყო დასაქმებული. სხვა საწარმოებსაც სერიოზული პრობლემები შეექმნათ და უკვე რიგ-რიგობით იხიურებიან, თუ არსებობს ისეთი მექანიზმი რომ თუნდაც უცხოური დახმარებების მეშვეობით, მსგავსი პროცესები შერბილდეს და უმუშევრობის პრობლემა კიდევ უფრო მეტად არ გამწვავდეს?

– ეს ის სექტორია, რომელიც ხალხის მიერ დახარჯული ფულით არსებობდა, კრიზისის გამო ხალხი უკვე ნაკლებად შედის რესტორნებში. ეს ნებისმიერი კრიზისული პერიოდისთვის დამახასიათებელი მოვლენაა. იდეალური გზები ნამდვილად არ არსებობს და მთელი მსოფლიო ძიებაშია, კრიზისიდან როგორ გამოვიდნენ. შედგენილია მრავალმილიარდიანი და ტრილიონიანი პროექტებიც კი როგორ უშველონ მსოფლიო ეკონომიკას, თუმცა არც ერთი არ იძლევა სრულ გარანტიას, რომ ეს ქვეყნები კრიზისიდან გამოვლენ. იდეალისტერბი ჩვენც ვერ ვიქნებით. ამ პროცესებს თავისი კანონმზომიერება აქვს, როდესაც ეკონომიკური ვარდნა მაქსიმალურ

ზრვარს მიაღწევს, შემდეგ უძრაობა იწყება, ეკონომიკას ჩამოშორდება წამგებიანი ბიზნესები და ყველაფერი თავიდან იწყება. სახელმწიფოს მიერ დახარჯული ყოველი თანხა კერძო სექრორის დასახმარებლად, უაზრობაა.

– რაც შეერხება საბანკო სექტორს? პრემიერ-მინისტრმა თავის გამცხადებაში ისიც თქვა, რომ სახაზინო ვალდებულებების შემოღებას აპირებენ...

– ერთი სიტყვით ვერ შევაფასებთ ეს კარგია თუ ცუდი. აქვს როგორც დადებითი, ასევე ნეგატიური მხარე. მთავრობას გარკვეული სფეროების დასაფინანსებლად სჭირდება ფული და თანხა არ ჰყოფნის, ამიტომ იძულებულია, ფული შიდა ბაზრიდან ისესხოს. მეორე ახსნაა, რომ დაეხმაროს კომერციულ ბანკებს. ისინი გაკოტრების საფრთხის წინაშე არ დგანან, მათ უკვე მიიღესს 800 მილიონ დოლარამდე შედავათიანი სესხი უცხოეთიდან, რითაც ნახევარ მილიარდამდე საგარეო ვალი გაისტუმრეს და რესურსი არსებობისთვისაც გააჩნიათ, თუმცა კრიზისის პერიოდში კერძო სექტორში ამ საკრედიტო რესურსების განთავსება უჭირთ. ამიტომ მთავრობა მათ სთავაზობს, ეს თანხები სახელმწიფოს ფასიან ქაღალდებში განათავსონ. ეს არის კომერციული ბანკებისთვის ყველაზე ხელსაყრელი ვარიანტი, იმიტომ, რომ ტვინის ჭყლეტა არ უნდათ, რომელ კომპანიას რა პირობებით ასესხონ ფული, არის გარანტირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, თუმცა ამით კომერციული ბანკები არა ეკონომიკისთვის, არამედ მთავრობისათვის მუშაობენ. კომერციული ბანკები გაკოტრების პირას რომ ყოფილიყვნენ, ეს იძულებითი ნაბიჯი იქნებოდა, თუმცა დღეს ღვთის წყალობიოთ ეს ასე არ არის და ამიტომ მათი გაზარმაცების მექანიზმია. ბანკები გადარჩებიან, მაგრამ ამით ეკონომიკას არაფერი ეშველება. ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობას კიდევ ერთი საფრთხე აქვს, ქვეყანაში ფინანსური პირამიდა არ შეიმნას, ანუ სახელმწიფო სესხულობს თანხას, რომელსაც ვერ ფარავს, ამიტომ (შესაძლოა კიდევ უფრო გაზრდილი პროცენტით) ისევ სესხულობს და სწორედ აქ იქმნება საფრთხე. მიუხედავად ჩემი საკმაოდ კრიტიკული დამოკიდებულებისა ყოფილი ფინანსთა და პტემიერ-მინისტრის, ნოღაოდელის მიმართ, არ შემიძლია არ ვთქვა, რომ ეროვნულ ბანკთან ერთად სახაზინო ვალდებულებების შეჩერება მისასალმებელი ნაბიჯი იყო. ის რასაც მთავრობა აკეთებს, აშკარად უკან გადადგმული ნაბიჯია. საკრედიტო რესურსი რომელიც კომერციულ ბანკებშია, კეძო სექტორს არ

მოხმარდება და წავა ბიუჯეტში, რითაც საბანკო სექტორი მთავრობის წურბელად იქცევა. ერთმანეთის წინაშე ანგარიშვალდებულიებიც ხდედბიან, ხოლო რეალური სექტორი და ქვეყნის ეკონომიკა ცალკე რჩება.

– ოპოზიცია ამ ეტაპზე აფიშირებას არ აკეთებს, მაგრამ რამდენიმე პარტიას აქვს ქვეყნის განვითარების გეგმა. თუ არ ვცდები, „ალიანსიდან" ირაკლი იაშვილმა ეკონომიკური პროგრამა გასაცნობად მოგაწოდათ კიდეც...

– მათ ეს გეგმები არ გამოუქვეყბებიათ და ოფიციალურად ვერ ვისაუბრებ, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ეკონომიკური პროგრამების კუთხით ყოველთვის ყველაზე მომზადებულები „ახალი მემარჯვენეები" იყვნენ. ძალიან კარგი პროგრამები ჰქონდათ „რესპუბლიკელებს" მაგრამ ყოველთვის მოისუსტებდა ეკონომნიკურ ნაწილში. თუმცა არსებობს „ალიანსის" ერთი ინიციატივა, რომელიც დიდ შეცდომად მიმაჩნია. საუბარია კრედიტორთა კომიტეტების შექმნასა და კრედიტორთა ვალების მთავრობისთვის გადაწერაზე, როდესაც ხელისუფლებაში მოვლენ. არ ვიცი ეს იდეა ვისგან მოდის, რადგან ირაკლი იაშვილი საუბრისას დამეთანხმა, რომ ამ ვალების მთავრობაზე გადაწერა შეცდომაა. საბავშვო ბაღი არ არის, რომ ვინმეს მიერ შეცდომით აღებულ თუ გაცემულ ვალზე ყველა მოქალაქემ პასუხი აგოს. გადასახადებს სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის, მართლწესრიგის, ჯანდაცვისა და სხვა საკითხების გადასაჭრელად ვიხდით. თანაც ბანკებს ამ გაუბედურებული ხალხის ქონება კი არა, ფული სჭირდებათ და რამდენადაც ვიცი, თავადვე მიდიან რესტრუქტურიზაციაზე. სახელმწიფომ შესაძლოა, რადაც მარეგულირებელი აქტი გამოსცეს, მაგრამ კერძო სექტორმა ეს პრობლემა თავად უნდა მოაგვაროს.

– შესაძლოა ეს სულაც პოპულისტური განცხადება იყოს, რომელიც ოპოზიციის მიერ ამ სექტორის მისამხრობად გაკეთდა...

– წლების განმავლობაში დაგვღუპა ამ პოპულიზმმა და მეტი აღარ გვინდა. 1995 წელს, როდესაც ფულის რეფორმა ტარდებოდა, არ ვიცი, ვინ ურჩია შევარდნაძეს, მაგრამ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის დროინდელ ანაბრებს ინდექსირებით დაარიგებდნენ. ამისი გაკეთება პრინციპულად შეუძლებელია, რადგანაც ის 4-ჯერ მაინც აღემატება საქართვბელოს ბუნებრივ სიმდიდრეს გადაყვანილს ღირებულებაში. თუმცა ამას თავის

დროზე „ნაცმოძრაობაც“ ჰპირდებოდა ამომრჩეველს და „ხალხის პარტია“ დღესაც ამაზე ლაპარაკობს.

– ოპოზიცია არ ლაპარაკობს იმ კონკრეტულ პრობლემებზე, რომელიც ქვეყანაშია, როგორ მოაგვარებს...

– დღეს ოპოზიციას სულ სხვა პრობლემა აქვს. სოციალურ პრობლემებსა და ეკონომიკაზე რომ ილაპარაკოს, ამით სააკაშვილი გადადგება? მის გადადგომაზე ლაპარაკობენ და სააკაშვილი დემონსტრირებას ახდენს, რომ მას ეს საერთოდ არ ანაღვლებს, რესტორნებსა თუ ბოდრუმში დადის და ფეხბურთის მატჩს ესწრება რომში. ამ ფონზე ოპოზიციამ ეკონომიკაზე რომ დაიწყოს ლაპარაკი ალბათ გაგვეცინება.

– ხალხს აინტერესებს, რა იქნება სააკაშვილის წასვლის შემდეგ...

– სააკაშვილი რომ მოვიდა, პროგრამა ჰქონდა? რა, აქამდე სულ პროგრამებით ირჩევდნენ პოლიტიკოსებს? ერთ ფარატინა ფურცელზე ჰქონდა სააკაშვილს ჩამოწერილი „ათი ნაბიჯი თავისუფლებისაკენ“, ეს იყო მთელი მისი პროგრამა და ამ 10 წინადადებიდან უმეტესობა არ შესრულებულა. ამას არ შეუშლია ხელი, რომ სააკაშვიკლი მოსულიყო ხელისუფლებაში 2008 წელსაც. როგორი გაყალბებაც არ უნდა ყოფილიყო, ფაქტია, რომ ამომრჩეველთა დიდმა ნაწილმა მას ხმა მისცა ორივე არჩევნებში. მჯერა, რომ ოპოზიციიდან ახლები მაინც დაწერენ პროგრამას, მაგრამ წაიკითხავს ვინმე? ბროშურებად დაბეჭდილი საკმაოდ მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროგრამა ჰქონდათ „რესპუბლიკელებს“, რომელიც საზოგადოებაში გაავრცელეს. 5%-იანი ბარიერიც კი ვერ გადალახეს. ხალხმა ამ პროგრამის გამო რატომღაც მათ ხმა არ მისცა, სამაგიეროდ აირჩიეს „ნაცმოძრაობა“, რომელსაც ერთი ლოზუნგი ჰქონდა – „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე!“

– ოპოზიცია აქციების შეწყვეტას არ აპირებს, რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ეს პროცესი?

– იქამდე გაგრძელდება, ვიდრე ხელისუფლება გონს არ მოვა. ის არ თვლის, რომ ეს ხალხი ქუჩაში მისი გამოყვანილია. ისევ თავის პოლიტიკასა და კურსს აგრძელებს. ხომ შეიძლება, რაღაც ნაბიჯები მაინც გადაგან საზოგადოების სასარგებლოდ. ის ხალხი, რომელიც ციხეებშია და ხელოვნურად თუ ბუნებრივად პოლიტიკურ პატიმრებად იქცნენ. მაგალითად

არ მესმის შალვა რამიშვილს რატომ არ უშვებენ, ამდენად სასიშია ამ ხელისუფლებისთვის? ვინ უშლის ხელს მწერალთა კავშირს თავიანთი შენობა დაუბრუნონ, კომპოზიტორებს – თავისი ქონება ბორჯომში, ან თაბუკაშვილის ქუჩაზე მცხოვრებ ხალხს რომ სახლი დაუნგრიეს და ქირასაც ვეღარ უხდიან, რომელიმე სახლში უყიდონ ბინები.

არ გამოვრიცხავ, რომ ხელისუფლებაში მართლაც არის ძალა, რომელსაც სურს საქართველოში თანამედროვე, ცივილიზებული სახელმწიფო ააშენოს, მაგრამ მათი პრობლემა ის არის რომ ეს არის ბოროტი ხალხი და ამ სახელწიფოსაც ბორიტებაზე დაფუძნებულს აშენებენ. ბოროტებით კი კეთილი საქმე არ გამოვა!

ლალი ზირაქიშვიილი